ქალბატონებო და ბატონებო!
პატივცემულო ამომრჩევლებო
მოწვეულო სტუმრებო!

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისათვის. მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია მოსახლეობას გააცნოს თავისი საქმიანობის ანგარიში.
ჩემთვის დიდი პატივია, ჩვენს მუნიციპალიტეტში განხორციელებულ იმ პროექტებზე საუბარი, რომელიც თქვენი საჭიროებიდან გამომდინარე, დაიგეგმა და ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დაფინანსებით, ვფიქრობთ, რომ ეფექტურად განხორციელდა.
ჩვენთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან მჭიდრო კომუნიკაცია, ხშირად, კონკრეტულ დასახლებებში, ადგილობრივებმა უკეთ იციან იმ პრობლემების შესახებ, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში რეალურად არსებობს.
მინდა თქვენს წინაშე მიმოვიხილო 2019 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და განხორციელებული პროექტები.

2019 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი წლის განმავლობაში გაიზარდა 8 მლნ. 58 550 ათასი ლარით და საბოლოოდ შეადგენს 18 მლნ. 120 ათას ლარს.

2020 წლისთვის კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, სავარაუდოდ, ნახევარ მილიონზე მეტი ლარით გაიზრდება.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობების სახით მობილიზებულია 12 151 945 ლარი, აქედან შემოსავლების სახით მიღებულია 7 440 082 ლარი, რაც წლიური გეგმის 78,1%-ს შეადგენს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი მიღებულია 5 365 389 ლარი, წლიური გეგმის 76,9%-ი; ქონების გადასახადი 1 138 668 ლარი, წლიური გეგმის 87,6%-ი; გადაჭარბებით შესრულდა მიწის გადასახადის გეგმა და წლის დარჩენილ პერიოდში დამატებით შემოვა 450 000 ლარი, რაც ქმნის იმის გარანტიას, რომ საგადასახადო შემოსავლების წლიური გეგმა, საბოლოო ჯამში გადაჭარბებით იქნება შესრულებული.

აღნიშნულის მიუხედავად დღემდე პრობლემას წარმოადგენს არაფინასური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. განსაკუთრებულ ძალისხმევას

საჭიროებს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გეგმის შესრულება, რომელიც ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით უნდა აღმოიფხვრას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებად განისაზღვრა:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია -

9 მილიონ 713 775 ლარი;

კულტურის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები -

3 მლნ. 970 400 ლარი

განათლება - **3 740 100 ლარი.**

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **913 100 ლარი;**

2019 წელი შეიძლება ითქვას, რომ მუნიციპალიტეტისთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით. განხორციელდა 150-ზე მეტი დიდი თუ მცირე პროექტი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მზარდი დინამიკა შენარჩუნდა და უფრო მეტი და მოცულობითი პროექტის განხორციელება შევძელით.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას. ამ მხრივ 2019 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა.

- ✓ შიდა მიმოსვლის გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა
2 მლნ. 350 600 ლარი.
- ✓ 2018 წელს დაიწყო და მიმდინარე წლისთვის დასრულდა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 2019 წელს დაიხარჯა 300 000 ლარი;
- ✓ ქალაქ ლანჩხუთის 12 ქუჩაზე მოეწყო რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი - 1 მლნ. 850 ათასი ლარი;
- ✓ მამათის, ჩიბათის, მაჩხვარეთის, აკეთის, აცანის, შუხუთის, ღრმაღელის, გვიმბალაურის, ჩოჩხათისა და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო რკინა-ბეტონის არხები, რკინა-ბეტონის გზები, დაიგო შავი საფარი - საერთო თანხით 917 438 ლარი.

საერთო ჯამში მუნიციპალიტეტში, გაკეთდა დაახლოებით 13 კილომეტრამდე სანიაღვრე არხი და დაიგო სამ კილომეტრზე მეტი ბეტონის გზა.

ამას გარდა, 2020 წლისთვის რეგიონული ფონდიდან და სტიქიის პრევენციის მიზნით გამოყოფილი სახსრებიდან ქალაქის ათ ქუჩაზე მოეწყობა რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხები.

რამდენიმე სიტყვით შევეხებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საგზაო ინფრასტრუქტურულ პროექტებს:

ამ დროისთვის მიმდინარეობს სამტრედია-გრიგოლეთის გზის მონაკვეთზე ავტობანის მშენებლობა, რომელიც 2020 წლისთვის უნდა გაიხსნას და რომელზედაც 400-მდე ადამიანია დასაქმებული და რომლის ღირებულება 254 მილიონი ლარია.

ასევე რეაბილიტაცია ჩაუატრდა სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთი საერთაშორისო მნიშვნელობის გზის 15 კმ.იან მონაკვეთს, რისთვისაც 8 მლნ. ლარი დაიხარჯა.

✓ 2019 წლის ბოლოს დაიწყება და 2020 წლისთვის დასრულდება შვიდი მასშტაბური ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია - საერთო ღირებულებით **1 მლნ. 985 030** ლარი.

✓ ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია დაგეგმილია შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში:

1. მაჩხვარეთი (ორი ხიდი) - ღირებულებით 1 მლნ. 277 238 ლარი;
2. ნიგვზიანი (ორი ხიდი) - ღირებულებით 288 603 ლარი;
3. ჩოჩხათი (სამი ხიდი) - ღირებულებით 419 189 ლარი.

➢ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 122 000 ლარით შეკეთდა ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავი.
მერიის შესაბამის სამსახურს უკვე მზად აქვს პროექტი, რომლის თანახმადაც 2020 წელს დამატებით ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სრული რეაბილიტაცია ჩატარდება, თანხით დაახლოებით, 390 000 ლარი.

➢ **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია იმითაც, რომ ჩვენთვის პრიორიტეტია სკოლამდელი აღზრდა და საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწყობა. ლანჩხუთში გასულ წლებში ოთხი ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. მიმდინარე წლისთვის კი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრს გამოეყო 2 მლნ. 500 ათასი ლარი**. 2018 წელთან შედარებით ეს თანხა **300 ათასი ლარით** გაიზარდა. ასევე აღნიშნულ სტრუქტურაში მიმდინარე წლის აპრილში 170 920 ლარით გაიზარდა სახელფასო ფონდი და ხელფასები მოემატათ გარკვეული კატეგორიის

მუშაკებს (უფროს აღმზრდელებს, აღმზრდელებს, ძიძებს, მზარეულებს და ა.შ.). აქვე დავძენთ, რომ მომავალ წელს უკვე სახელმწიფოს მიერაა დაგეგმილი საბავშვო ბაღების თანამშრომლებზე ხელფასების მატება.

2019 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 14 საბავშვო ბაგა-ბაღს ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

- ✓ 21 ბაგა-ბაღისთვის ცენტრმა შეიძინა სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ტექნიკა.
- ✓ 4 საბავშვო ბაგა-ბაღში (ქვიანი, ჩოლობარგი, ლესა და წყალწმინდა) მიმდინარეობს სრული გაზიფიცირება და მონტაჟდება გათბობის სისტემის საქვაბეები.
- ✓ ამჟამად სკოლამდელ ცენტრში 1166 აღსაზრდელი ირიცხება.

- ✓ **2019-2020 წლისთვის** საბავშვო ბაღის მშენებლობა დაგეგმილია სამ სოფელში: სუფსაში, აცანასა და ხაჯალიაზე, რისთვისაც სავარაუდოდ, ორ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. აცანაში ბაღის მშენებლობისთვის ტენდერი უკვე გამოცხადებულია.
- ✓ ასევე, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებით რეაბილიტირდება მოქმედი საბავშვო ბაღები, თანხით 250 ათასი ლარი.

საგულისხმოა, რომ ჩვენი გუნდი დიდ ყურადღებას უთმობს განათლებას და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასკოლო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას.

- ➢ **ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯირში აშენდა მცირეკონტიგენტიანი, ენერგოეფექტური, ადაპტირებული სკოლა, რომელიც 20-25 მოსწავლეზეა გათვლილი, დაიხარჯა 500 000 ლარი.**
- ➢ **ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში ნიგვზიანში სურლდება საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რომელიც 600 მოსწავლეზეა გათვლილი. აღნიშნული სკოლის სამშენებლო სამუშაოებისთვის მილენიუმიდან გამოყოფილია დაახლოებით 2 მლნ. ლარი.**

ამას გარდა,

- ➢ **საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად მუნიციპალიიტეტს გამოეყო 520 000 ლარი.**
- ✓ სველი წერტილები მოეწყო მუნიციპალიტეტის შვიდ საჯარო სკოლაში:
- ✓ ქალაქის #1 და ჯურუყვეთის #1 საჯარო სკოლებში - პროექტის ღირებულება 136 220 ლარია;
- ✓ სოფელ სუფსის საჯარო სკოლის დაწყებით და მთავარ კორპუსზე - თანხით 111 000 ლარი;
- ✓ ტაბანათის, ჩოლობარგისა და ხიდმაღალას საჯარო სკოლებში - 138 892 ლარი.
- ✓ ამას გარდა, დასრულდა ქალაქის #1 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა. სამუშოებმა 89 966 ლარი შეადგინა.
- ➢ **2020 წლისთვის დაგეგმილია** შუხუთისა და სუფსის საჯარო სკოლების სახურავების რეაბილიტაცია.

- დამატებით 10 საჯარო სკოლაში რეაბილიტირდება სველი წერტილები.
- რეაბილიტირდება ქალაქის მეორე საჯარო სკოლის სპორტული დარბაზი.
- სარემონტო სამუშაოები ჩატარდება ასევე ქალაქის მესამე, გულიანისა და ლესის საჯარო სკოლებში.
- საერთო ჯამში სკოლების რეაბილიტაციისთვის 2020 წელს დაიხარჯება **1 მლნ. 120 000 ლარი.**

ჩვენი პრიორიტეტია ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ამ მიზნით ქალაქ ლანჩხუთში რემონტდება ორი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო სტადიონი - 249 613 ლარი.

- ✓ ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე მინი საფეხბურთო სტადიონს უტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულებაა 147 483 ლარი;
- ✓ სარეაბილიტაციო სამუშაოები ტარდება ასევე თავისუფლებისა და ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე არსებულ მინი სტადიონზეც, თანხით - 102 130 ლარი.
- ✓ 2020 წლისთვის დაგეგმილია ქალაქ ლანჩხუთში, გორგასლის ქუჩაზე, საფეხბურთო მინი-სტადიონის რეაბილიტაცია და იქვე საკალათბურთო მოედნის მშენებლობა, რაც მთლიანობაში **185 ათასი ლარი დაჯდება.**

- ✓ **ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ** სოფელ გვიმბალაურში რეგიონში ერთადერთი ბავშვთა საფეხბურთო აკადემია შენდება. **აკადემია მოემსახურება ორ ასაკობრივ ჯგუფს გურიიდან და სხვა მეზობელი რეგიონებიდან.**
- ✓ ამ ეტაპზე მიმდინარეობს შენობის სრული რემონტი, მისი აღჭურვა სათანადო ინვენტარით და ეზოს კეთილმოწყობა - საერთო თანხით **1 მლნ. 777 582 ლარი.**
- ✓ აკადემიისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას დაწყებული აქვს თანამედროვე სტანდარტების მქონე ხელოვნურსაფარიანი სტადიონის მშენებლობა - სავარაუდო ღირებულება დამატებით **800 ათასი ლარი.**
- ✓ მოეწყობა სტადიონისა და ეზოს განათების სისტემა - სავარაუდო ღირებულებაა დამატებით **380 000 ლარი.**

- ✓ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჭადრაკის სახლს, რომელიც 70 ბავშვს ემსახურება - **86 000** ლარი.

- ✓ **სპორტის ხელშეწყობის მიზნით** მიმდინარე წელს ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა გვიმბალაურში არსებულ საჭიდაო დარბაზის სახურავს - 42 237 ლარი.

✓ **2019-2020 წლებში** კარატეს დარბაზისთვის რეაბილიტირდება სავარჯიშო ოთახები და სველი წერტილები. სამუშაოების ღირებულებაა 70 000 ლარი.

➢ **ამბულატორიების სრული რეაბილიტაციისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 175 000 ლარი. აქამდე ეს საკითხი ერთ-ერთი პრობლემური საკითხი იყო არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. სახელმწიფომ გამოიჩინა კეთილი ნება და 2019 წლისთვის ლანჩხუთში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოთხი სოფლის ამბულატორიას:

- სოფელ შუხუთში - 21 765 ლარი;
- სოფელ აცანაში - 22 000 ლარი;
- სოფელ აკეთში - 20 400 ლარი;
- სოფელ ნიგოითში - 27 800 ლარი;
- ხოლო სოფელ სუფსაში აშენდა ახალი ამბულატორია - რისთვისაც **83 000** ლარი

დაიხარჯა. ამბულატორია მოემსახურება არა მხოლოდ სოფელ სუფსის, არამედ მიმდებარე სოფლების მოსახლეობასაც.

➢ 2020 წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელს ექნება თანამედროვე სტანდარტების მქონე ამბულატორია. პროექტის განხორციელებისათვის გამოყოფილია **490 000** ლარი.

➢ რეაბილიტაცია ჩაუტარდება მამათის, გვიმბალაურის, ჩიბათის, ლესის, ნინოშვილისა და ჩოჩხათის ამბულატორიებს.

➢ ახალი ამბულატორიები აშენდება ღრმაღელის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანისა და ნიგოითის (ჩოლობარგი) ადმინისტრაციულ ერთეულებში.

აქვე დავძენთ, რომ თითოეული ამბულატორია იქნება ადაპტირებული და მოსახლეობაზე მორგებული.

➢ **წარმატებით მიმდინარეობს სოფლებში ბუნებრივი აირის შეყვანის პროცესი.**

✓ მიმდინარე წელს სრულად გაზიფიცირდება აცანის, ლესისა და ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულები, სადაც ბუნებრივი აირით ისარგებლებს დაახლოებით **2 100** კომლი.

✓ 2020 წლისთვის დაგეგმილია მამათის, აკეთისა და ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულებში შემავალი სოფლების სრული გაზიფიცირება (ბუნებრივი აირით ისარგებლებს დაახლოებით 2 ათასზე მეტი კომლი).

✓ ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ 2020 წლისთვის დამატებით კიდევ ოთხ სოფელში: ჩოჩხათი, ჯურუყვეთი, ნიგვზიანი და ნინოშვილი ჩატარდეს გაზიფიცირების სამუშაოები, ისე რომ, ლანჩხუთში არცერთი სოფელი არ დარჩეს ბუნებრივი აირის გარეშე.

- **მისასალმებელია, რომ კვლავ ხორციელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის** ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **748 000 ლარი.** ამ თანხით მუნიციპალიტეტის 54-ვე სოფელში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი: გარე განათება, შიდა გზების მოწესრიგება, სასაფლაოების შეღობვა, სოფლის კლუბის რეაბილიტაცია, წყალმომარაგების ქსელის მოწყობა და ა.შ.

აღნიშნული პროგრამა რამდენი წლის წინ შეჩერებული იყო, თუმცა ჩვენი და ცენტრალური ხელისუფლების ძალისხმევითა და მუშაობის შედეგად პროგრამის განხორციელება ისევ დაიწყო. მართალია, თანხები გაორმაგდა, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ეს საკმარისი ჯერ კიდევ არაა და ისევ ვმუშაობთ იმაზე, რომ საკითხი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდეს.

- **სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტი რამდენჯერმე მნიშვნელოვნად დაზარალდა. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სტიქიის სალიკვიდაციო თანხით ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:**

✓ ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციულ შენობას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები - **88 000** ლარი;

✓ მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში ტარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, საერთო ღირებულებით **1 მლნ. 500 000** ლარი. სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

✓ 2019-2020 წლებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის გამოყოფილია **454 000 ლარი.** სამუშაოები დაიწყება მიმდინარე წლის დეკემბერში და დასრულდება 2020 წელს.

- **ჯერ კიდევ პრობლემად რჩება სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. 2019 წლისთვის მიმდინარეობს** გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსისა და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. სამუშაოების ღირებულებაა **1 მლნ. 147 000 ლარია**. სამუშაოები ნოემბრის ბოლოსთვის დასრულდება. წყალმომარაგების რეაბილიტირებული სისტემით ისარგებლებს ცხრა სოფლის მოსახლეობა, დაახლოებით 850 კომლი.

✓ 2020 წელს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია განახორციელებს წყალმომარაგების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტს მუნიციპალიტეტის დამატებით ხუთ სოფელში: ქვემო აკეთი, ჭანჭათი, ჯურუყვეთი, ღრმაღელე და წიაღობანი.

✓ ქალაქში უკვე დაწყებულია და წლის ბოლომდე დასრულდება წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია, რომლის შემდეგაც ქალაქის მაცხოვრებლებს ექნებათ 24 საათიანი წყალმომარაგება და დამატებით ისარგებლებს 500-ზე მეტი კომლი.

✓ მომავალი წლისთვის წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამის ფარგლებში, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდება წყალმომარაგების ქსელისა და სათავე ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 367 000 ლარი. მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა.

- **ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა განვაცხადოთ, რომ ეფექტური სოციალური პროგრამებით არაერთი ადამიანის სიცოცხლე გადავარჩინეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, შევძელით დავხმარებოდით ადამიანებს და მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, მაინც შევძელით ჩავმდგარიყავით ჩვენი მოსახლეობის სამსახურში.**

2019 წელს პროგრამის ფარგლებში 1000-ზე მეტ ბენეფიციარს გაეწია დახმარება.

16 სოციალური პროგრამის განსახორციელებლად ბიუჯეტში გამოყოფილია **565 100** ლარი.

- **შედეგიანი გამოდგა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, რომლითაც ამ ხნის მანძილზე 521 ბენეფიციარმა ისარგებლა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 90 000 ლარით (თუმცა ეს პროგრამა შეჩერებულია, რადგან სახელმწიფომ დაიწყო ქრონიკულად დაავადებულ ადამიანებზე მედიკამენტების ერთ ლარად შეძენის მნიშვნელოვანი პროგრამა).**
- **შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამით ისარგებლა 0-დან 18 წლამდე ასაკის 11 ბენეფიციარმა. აღნიშნული სტატუსის მქონე ბავშვებმა ოჯახის წევრებთან ერთად სარეაბილიტაციო კურსი გაიარეს დაბა ურეკში. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 10 000 ლარს.**
- **მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამით** სარგებლობს 98 ბენეფიციარი. პროგრამის ბიუჯეტია **90 000** ლარი.
- **მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის** მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ხანძრისა და მეწყრისაგან დაზარალებული, საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დახმარება. ასევე ძალადობის მსვერპლ ქალთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. პროგრამით ისარგება 66 ოჯახმა, მათ შორის ერთი ძალადობის მსხვერპლი ქალია. პროგრამის ბიუჯეტი **67 ათასი** ლარია.
- **ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის** ბიუჯეტი განისაზღვრა **53000** ლარით. პროგრამით სარგებლობს 83 ბენეფიციარი.
- **ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამით** მიმდინარე წელს ისარგებლა 24 ბენეფიციარმა. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 36 800 ლარს.
- **სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით ისარგებლა 438 ბენეფიციარმა. ამავე პროგრამის ფარგლებში C ჰეპატიტის** პირველადი კვლევების თანადაფინასებით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა. პროგრამის ბიუჯეტია **90 000** ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ ვალდებულება აღებულია 53739 ლარზე.

მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამის ფარგლებში დღემდე დახმარება გაეწია 59 ბენეფიციარს. პროგრამის საერთო თანხაა 40 000 ლარი.

- **ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამით ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის** ამ დროისთვის ისარგებლა კლუბის 20 წევრმა. პროგრამის საერთო თანხაა 36 000 ლარი.

- **ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი კულტურული და სპორტული მიღწევები. გურია ამ მხრივ მართლაც გამორჩეული რეგიონია და ამ სფეროში თავის სიტყვას ჩვენი მუნიციპალიტეტიც ამბობს.**

2019 წლის ბიუჯეტში განათლების ხელშეწყობის პროგრამა დაფინანსდა 16 000 ლარით, საიდანაც წელს პირველად 22 მედალოსნისთვის გამოიყო 6 200 ლარი, რომლებიც თანხას ეტაპობრივად მიიღებენ. პროგრამა სამომავლოდაც გაგრძელდება.

დანარჩენი თანხა მოხმარდა სხვადასხვა სასკოლო პროექტის განხორციელებასა და წარმატებული პედაგოგების წახალისებას.

მხოლოდ მიმდინარე წელს ადგილი ჰქონდა უპრეცედენტო შემთხვევას და განათლების სამინისტროს ინიციატივით, 80 პენსიონერ პედაგოგზე, რომლებმაც დატოვეს სკოლები, გაიცა სახელმწიფო ჯილდო, 607 730 ლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონ მიმოზა ბარამიძეს მიენიჭა დამსახურებული პედაგოგის წოდება. კიდევ ერთხელ ვულოცავთ მას ამ ღირსეულ ჯილდოს და მადლობას ვუხდით უანგარო ღვაწლისთვის მომავალი თაობის აღზრდაში.

მიმდინარე წელს ჩატარებული ღონისძიებებიდან გამოვარჩევდი ყველაზე დასამახსოვრებელ კულტურულ მოვლენას, ბრისტოლელი მომღერლების ეგნატე ნინოშვილის მუზეუმში ვიზიტს, რომელმაც მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ნებისმიერ ჩვენგანზე.

ასევე დასამახსოვრებელი იყო ისეთი ცნობილი სახეების ვიზიტი ჩვენს მუნიციპალიტეტში, როგორებიც არიან: ლეო ანთაძე, მედეა ლოთრქიფანიძე, მურმან ჯინორია, ლაშა ღლონტი, ვაჟა აზარაშვილი, ამ უკანასკნელს ლანჩხუთის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

ლანჩხუთის ეგნატე ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრის დასი გასტროლებზე იმყოფებოდა პარიზში, სადაც ლანჩხუთელების სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

წელს რეგიონში პირველად ჩატარდა ლიტერატურულ-მხატვრული კონკურსი ახალგაზრდებს შორის „ახალგაზრდა ხელოვანი“, რომელსაც სწორედ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა.

მუნიციპალიტეტში მოქმედი სახელოვნებო სკოლები ემსახურებიან 500-მდე მოსწავლეს. მათთვის წლის მანძილზე ბიუჯეტიდან გამოყოფილია 303 350 ლარი. წელს მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლამ 60 წლის იუბილე დასამახსოვრებელი კონცერტით აღნიშნა.

კულტურის სამინისტროს პროექტის „ცოცხალი წიგნების“ ფარგლებში ლანჩხუთს წელს მეექვსედ ესტუმრნენ ცნობილი პოეტები და მწერლები.

რაც შეეხება სპორტს, სხვადასხვა სფეროში ჩვენმა სპორტსმენებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს.

მინდა გამოვყო ჩვენი სპორტული ცენტრის აღზრდილი გიორგი შოთაძე, რომელიც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი გახდა და სრულიად საქართველო ასახელა თავისი წარმატებებით.

ასევე მსოფლიო და ევროტურნირებზე წარმატებით იასპარეზა ჩვენმა მოჭიდავემ, თამაზ ღლონტმა, რომელსაც მომავალი წლის პირველი იანვრიდან ყოველთვიური სტიპენდია დაენიშნება.

ძალიან გაგვახარეს ჩვენმა გოგონებმაც და გოგონათა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთი“ წელს საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელები გახდა. კლუბი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 110 ათასი ლარით ფინანსდება. უნდა აღინიშნოს, რომ ლანჩხუთი ის მუნიციპალიტეტია, სადაც გოგონათა საფეხბურთო გუნდს ყველაზე მეტი დაფინანსება აქვს. კლუბი „ლანჩხუთი“ ევროტურნირებზე მიიღებს მონაწილეობას და ჩვენს მუნიციპალიტეტის სახელს საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანს.

წარმატებით განხორციელდა „ევროპის სპორტის კვირეული“, რომელშიაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა იყო ჩართული.

წელს მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა რეგიონულ ტურნირს „სპორტი ბარიერების გარეშე“.

უკვე დაიწყო სასკოლო ოლიმპიადა სკოლებს შორის, რომელიც წლებია წარმატებით მიმდინარეობს და რომელშიც მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა მონაწილეობს.

უნდა ითქვას, რომ ზემონახსენებ სპორტულ ღონისძიებებში 700-ზე მეტი მოსწავლე იღებს მონაწილეობას.

წარმატებით ჩატარდა ლელო-2019, რომელიც მართლაც გამორჩეული იყო აქამდე ჩატარებულ ღონისძიებათა შორის. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს ლელოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ხაზგასმით გვინდა გამოვყოთ ის ფაქტი, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტეგრაციას საზოგადოებაში. ამ მიზნით ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიება, რომელიც ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად გვინდა გაგაცნოთ ის პროექტები, რომელთა განხორციელება 2020 წლისთვისაა დაგეგმილი:

ქალაქ ლანჩხუთის საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია;

ქალაქ ლანჩხუთის 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;

ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;

ქალაქ ლანჩხუთში რამდენიმე ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა;

სოფელ გრიგოლეთში, პალიასტომის ტბაზე შესასვლელის მოწყობა;

სოფელ ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია;

სოფელ შუხუთში ლელოს მუზეუმის მშენებლობა;

ნოე ჟორდანიას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია;

ორაგვის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა;

კურორტ გრიგოლეთში მოეწყობა შიდა ინფრასტრუქტურა;

იგეგმება სუფსა-წყალწმინდა, ღრმაღელე-ორმეთის გზის რეაბილიტირება.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროექტები უკვე შესყიდული გვაქვს და 2020 წელს მუნიციპალიტეტი ამ მხრივ სრულ მზადყოფნაში ხვდება.

ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით მოვიზიდოთ ინვესტორები. ამ მხრივ აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ტურიზმის განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ ახლახან პროექტ „ მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ფარგლებში ნინოშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში მოეწყო

გურული ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული კუთხეები. მიმდინარეობს უძველესი გურული ვაზის ჯიშების აღდგენაც.

ამას გარდა, ევროკავშირის ინიციატივის ფარგლებში, „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“, შემუშავებული გეგმის საფუძველზე მომზადდა 17 პროექტი, რომლის მიზანია თავისუფალი ეკონომიკური ზონითა და განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურით ჩვენი მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს. 17-ვე პროექტი დაფინანსდება. ცნობისათვის, ევროკავშირის მიერ შერჩეული სამი მუნიციპალიტეტიდან ლანჩხუთი ყველაზე მეტად გამორჩეულია.

ჩვენს მუნიციპალიტეტს აქვს იმის პოტენციალი, რომ უცხოელი ტურისტებისა და ინვესტორების ყურადღება მიიქციოს და ჩვენ ეს პოტენციალი სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, მუნიციპალიტეტისთვის დღემდე სერიოზულ პრობლემად რჩება გარევაჭრობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქალაქის ცენტრში, სადაც გადაადგილება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა სამსახურმა მოიძია ალტერნატიული ფართი, გარდა ამისა, ქალაქის ცენტრში მდებარეობს ორი ბაზარი, სადაც მოვაჭრეების განთავსება შეიძლება.

- ჩვენთვის გასაგებია, ყველა ის პრობლემა, რაც მოსახლეობას აწუხებს. გვესმის მათი სოციალური მდგომარეობა, თუმცა მიუღებელია ქალაქის იერ-სახის დამახინჯება. ამიტომ გადავწყვიტეთ, თითოეულ მათგანს მივცეთ ვადა, რომ ისარგებლონ მერიის მიერ შეთავაზებული ფართით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მივცემთ უფლებას, ქალაქის ცენტრში, ქუჩაში, გაგრძელდეს ვაჭრობა.
- ასევე მტკივნეულ საკითხად რჩება მაწანწალა ძაღლების პრობლემა. სამწუხაროდ, ეს არა მხოლოდ ჩვენი მუნიციპალიტეტის პრობლემაა, თუმცა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად ამ კუთხით ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

ჩვენი პრიორიტეტი მოსახლეობასთან პირდაპირი და უშუალო კავშირია. ამ კუთხით აღსანიშნავია შეხვედრები მოსახლეობასთან, სახლახო კრებები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მუნიციპალიტეტის ახალი ვებ.გვერდი: LANCHKHUTI.GOV.GE. გვერდი ყოველდღიურად ახლდება. პროაქტიურად ქვეყნდება ოფიციალური დოკუმენტები (ნორმატიული აქტები, განკარგულებები, ბრძანებები, დადგენილებები, რომელსაც საკრებულო გამოსცემს), ასევე ყველა ის პროექტი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში ხორციელდება. აღნიშნული ვებ.გვერდის საშუალებით მოსახლეობას ეძლევა საშუალება წარმოადგინოს პეტიციები, მოსაზრებები, დასვას შეკითხვები და ა.შ.

ყოველი კვირის პარასკევი (და არა მარტო პარასკევი, არამედ ფაქტობრივად, ყველა სამუშაო დღე) მერთან მოქალაქეთა მიღების დღეა, სადაც მოქალაქეები უშუალოდ აცნობენ მერს თავიანთ პრობლემებს. ჩვენ მათ შეძლებისდაგვარად დახმარებას ვუწევთ.

ჩვენი ანგარიშის დასასრულს, მინდა მადლობა გადავუხადო ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარ დეპუტატს, ქალბატონ ნინო წილოსანს აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

დიდი მადლობა გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულს, ბატონ ზურაბ ნასარაიას, რომელიც მუდამ ჩვენს გვერდით დგას და ჩვენთან ერთად იზიარებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა მოვლენას.

მინდა მადლობა გადავუხადო მერიის თითოეულ სამსახურს, ა(ა)იპ-ებს, მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის. სწორედ მათი შრომის შედეგია ის, რომ ლანჩხუთში ბევრი კარგი პროექტი ხორციელდება. ვიმედოვნებ, რომ ისინი თავიანთ საქმიანობას კიდევ უფრო მეტი გულისხმიერებით გააგრძელებენ.

ასევე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ ბესიკ ტაბიძეს, საკრებულოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ზემოაღნიშნული სამუშაოებისა და ღონისძიებების განხორციელების საფუძველი იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მონდომება, მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა ერთიანი გუნდის პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე.

დასასრულ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არაერთი კარგი რამ გაკეთდა და კეთდება, ჩვენს გუნდს აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი რამდენიმე წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეტაპობრივად, რეალურად განხორციელებულ პროექტებში აისახება. ვიცით, რომ კიდევ ბევრი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე ვდგავართ, მაგრამ ჩვენ მათ არ გავურბივართ და თქვენთან ერთად ვაპირებთ მუნიციპალიტეტისთვის კიდევ ბევრი კარგი რამ გავაკეთოთ.

გმადლობთ ყურადღებისათვის